


"ბჟუჟიდან გააქვთ ჩვენთვის გაურკვეველი რაოდენობით ინერტული მასალა"

2018 აგვ 2 13:53:00

 გიორგი გირკელიძე



"მაკვანეთში, მდინარე ბჟუჟზე ინერტული მასალების მოპოვება ხდება. მიუხედავად მრავალჯერადი ღონისძიებებისა, სოფელმა ვერ აღკვეთა ინერტული მასალების გატანა. ნლებია, ეს პრობლემა დგას და არა ერთი წერილი გაკეთებულა თუ სიუჟეტი მომზადებულა. მდინარის კალაპოტი ისე დაინია, სოფლის ერთ ნაწილს დაუშრა ჭები და მოსახლეობა დარჩა სასმელი წყლის გარეშე. კრიტიკული მდგომარეობაა განსაკუთრებით ხუთ ოჯახში.

სიტყვიერად მივმართეთ ადგილობრივ ხელისუფლებას, მაგრამ პასუხი არ მიგვიღია. 80-100 მეტრში მოყვანილია ცენტრალური წყალგაყვანილობა, მაგრამ..." _ ეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მაკვანეთის მერეს უბნის იმ მცხოვრებთა გულისტკივილია, რომლებმაც "გურია ნიუსს" მიმართეს.

მოსახლეობა "გურია ნიუსთან" საუბრის დროს ამბობს, რომ გაფხულში განსაკუთრებით რთულია მათ სოფელში ცხოვრება:

"მანქანები ხან დადიან შემოვლითი, ხან კი ცენტრალური გზით. მდინარე ბჟუჟიდან გააქვთ ჩვენთვის გაურკვეველი რაოდენობით ინერტული მასალა. არ ვიცით, რა

მოხდება", _ გვითხრეს ადგილობრივებმა.

"მაკვანეთის ტერიტორიული ერთეულის "მერეს უბანში" წყლის პრობლემის შესახებ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურისთვის ცნობილია. რადგან აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა სხვადასხვა უწყებების კომპეტენციას განეკუთვნება, ამ ეტაპზე მიმდინარეობს მოკვლევა, რის შემდგომაც მოხდება შესაბამისი ზომების მიღება", _ გვითხრეს **ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის პრესსამსახურში**.

პრესსამსახურში არ იციან, კონკრეტულად, ვინ აწარმოებს სამუშაოებს სოფელ მაკვანეთში მდინარე ბჟუჟის სანაპიროზე. **ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი მაკვანეთში ალექსანდრე ბურძგლა** ჩვენთან სატელეფონო საუბრისას ამბობს, რომ თითქმის ყოველ კვირას ახალი ჯგუფები შემოდის და ზუსტად არ აქვს ინფორმაცია იმ პირებს შესახებ, რომლებიც ინერტული მასალის მოპოვებას ცდილობენ.

"გურია ნიუსის" წყაროს ინფორმაციით, მდინარე ბჟუჟიდან ინერტული მასალა გააქვს ოზურგეთელ **ბესო სარიშვილს**, მაგრამ იგი "გურია ნიუსთან" ფაქტს არ ადასტურებს:

"ადრე გაგვქონდა ინერტული მასალა. ახლა დავანებე თავი ამ საქმიანობას, რადგან მოსახლეობა აპროტესტებდა _ აქციები მოაწყვეს. ფაქტობრივად, ვერ ვიმუშავე. შიდა გზის გახსნას ველოდებოდი და არ გახსნილა, საიდანაც გამოვატანდიოთ", _ გვითხრა სარიშვილმა.

ინერტული მასალის გატანის შესახებ საუბრობს "გურია ნიუსთან" **რეზო მასხულია**:

"ვადასტურებ, რომ ვმუშაობ ინერტული მასალის გატანაზე. ცოტ-ცოტა რაოდენობით გაგვაქვს. ჩვენ ვმუშაობთ ორ კარიერზე _ წითელმთასა და მაკვანეთში. ამ ეტაპზე გაგვაქვს წითელმთიდან, სადაც მიმდინარეობს საკალმახე მეურნეობის მშენებლობისთვის მზადება და იქ არანაირი პრობლემა მოსახლეობასთან არ გვაქვს. მაკვანეთიდან აღარ გაგვაქვს _ არ გვინდა მოსახლეობის განაწყენება.

ველოდებით კარიერის გზის გახსნას, რომელიც ამ ეტაპზე დაკეტილია, რადგან წყალმომარაგების სამსახური რაღაც სამუშაოების ატარებს და აქედან გამომდინარე, ცენტრალური გზიდან არ ვაპირებთ მანქანებით გავიტანოთ ინერტული მასალა. ველოდებით ამ გზის გახსნას, რომ ჩვენი სამუშაოები გავაგრძელოთ", _ თქვა რეზო მასხულიამ.

"გურია ნიუსი" ადგილობრივ მცხოვრებ **კობა ჭანუყვაძეს** ესაუბრა:

"ალტერნატიული გზა მოგვცენ, რომ არც მოსახლეობა დაზარალდეს და არც ჩვენ. არის ამის საშუალება და ვითხოვთ, დაკეტილი გზის გახსნას. გახსნან გზა _ ვერტფრენით ხომ ვერ გამოვიტანთ, ინერტულ მასალას?!" _ ამბობს კობა ჭანუყვაძე.

მოსახლეობა შიშობს, რომ მდინარეებთან არსებული ძალიან ბევრი კარიერი საფრთხეს შეუქმნის სოფელს.



ორგანიზაცია "მწვანე ალტერნატივას" ბიომრავალფეროვნების პროგრამის კოორდინატორი ირაკლი მაჭარაშვილი ამბობს, რომ წიაღისეულის, მათ შორის, ინერტული მასალის მოპოვებას, საქართველოში აქვს ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელსაც საერთოდ არ ექცევა არანაირი ყურადღება ხელისუფლების მხრიდან:

"ზოგადად, წიაღის მოპოვება გასული ათწლეულის განმავლობაში იყო საქმიანობა, რომელიც არ ექვემდებარებოდა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

ზოგადად წიაღის მოპოვება არის გარემოზე ყველაზე მძიმე დარტყმა. ვგულისხმობ, როგორც ბუნებრივ გარემოს, ისევე, სოციალურს. ამის შედეგებს ჩვენ ნათლად ვხედავთ, მაგალითად, რა ხდება ჭიათურის მუნიციპალიტეტში _ მარგანეცის მოპოვება რა ზიანს აყენებს, როგორც ბუნებრივ გარემოს, ისევე, ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას. მძიმე სიტუაციაზე შეიძლება ვისაუბროთ ბოლნისი-დმანისისა და თეთრიწყაროზე, სადაც "არ ემ ჯი" მოიპოვებს ფერად ლითონებს. მინდა აღვნიშნო, რომ 2006 წლამდე არსებული კანონმდებლობით, ის ქმედებები, რომელიც მიმდინარეობს ქვეყანაში, შეუძლებელი იქნებოდა. 2018 წლიდან შეიცვალა კანონმდებლობა და წიაღის მოპოვება დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, მაგრამ... აქ არის კიდევ ერთი _ ინერტული მასალის მოპოვება, მდინარიდან ქვა-ხრეშის მოპოვება კვლავ რჩება გარემოზე ზემოქმედების შეფასების მიღმა", _ ამბობს ირაკლი მაჭარაშვილი.

მისივე თქმით, "წინასწარ არ ხდება გარემოზე იმ საქმიანობის ზემოქმედების შეფასება, რა საქმიანობასაც ეწევიან კომპანიები _ მთავრობა მათ პირდაპირ აძლევს ლიცენზიებს ან ნებართვებს, რომ მოიპოვონ ქვა-ხრეში მდინარის კალაპოტებიდან. ამ ქმედებამ თეორიულად ძალიან ბევრი რამ შეიძლება გამოიწვიოს: იცვლება მდინარის ფიზიკური და ქიმიური მახასიათებლები, რაც ზეგავლენას ახდენს

თევზებსა და სხვა ორგანიზმებზე, რომლითაც სასიცოცხლო არის წყალთან დაკავშირებული; შესაძლებელია, ასევე, ზეგავლენა მოახდინოს, როგორც მინის ზედა წყლების ჩამოდენის რაოდენობაზე, ასევე, შესაძლებელია, გამოიწვიოს ზეგავლენა მინისქვეშა წყლებზე“:

"არასწორი ექსპლუატაციის შედეგად, შესაძლებელია, მდინარე გახდეს სახიფათო. სამწუხაროდ, ამის არა ერთი შემთხვევა იყო საქართველოში _ უბედური შემთხვევები და ადამიანების დაღუპვა სწორედ ამის შედეგი იყო. კარიერებიდან ქვა-ლორღის გატანის შედეგად ჩნდება ღრმულები და ასეთ ღრმულებში რამდენიმე ადამიანი დაიხრჩო კიდევაც.

რა მნიშვნელობა აქვს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას?! წინასწარ უნდა დადგინდეს, ექნება თუ არა ამა თუ იმ კონკრეტულ მდინარეზე კონკრეტული კარიერის ფუნქციონირებას რაიმე ზეგავლენა ბუნებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ გარემოზე, ასევე, ადამიანის საცხოვრებელ გარემოზე, ჯანმრთელობაზე, სხვა რესურსების მდგომარეობაზე და მხოლოდ მას შემდეგ, რაც გამოირიცხება უარყოფითი ზეგავლენები, მოხდება ამ ზეგავლენების შერბილება და შემცირება სათანადო ღონისძიებებით, რომელიც განერილი იქნება გარემოს ზემოქმედების შეფასებაში. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გაიცემოდეს ეს ნებართვები.

ადგილობრივი მოსახლეობა მართალია _ წიაღის მოპოვება არ ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. ეს არის კონსტიტუციური უფლების დარღვევა ადამიანებისთვის _ მათ უნდა იცხოვრონ ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში და ეს კანონმდებლობის ხარვეზი აუცილებლად ძალიან მალე უნდა გამოსწორდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყოველთვის იქნება გაუგებრობა ადგილობრივ მოსახლეობასა და იმ ადამიანების შორის, რომლებიც ამ ბიზნეს ეწევიან. ის ადამიანები, რომლებიც ბუნების გარემოს შეცვლის გამო არიან დაინტერესებულები და შენუხებულები, ყოველთვის მართლები იქნებიან. ჩვენთან სამართლებრივი საკითხები უკულმა და დასაბუთებას სთხოვენ მოსახლეობას და არა საქმის გამხორციელებელს, ვინც ამ საქმიანობას აწარმოებს“, _ გვითხრა ირაკლი მაჭარაშვილმა.

ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი წიაღის ეროვნული

სააგენტოს პრესსამსახურში გვითხრეს, რომ "თუ მოსახლეობას მიაჩნია, რომ ირღვევა კანონი, გარემოს ზედამხედველობის სააგენტოს უნდა დაუკავშირდეს, სააგენტოს კი სოფელ მაკვანეთში არსებულ კანონდარღვევებთან დაკავშირებით ინფორმაცია არ აქვს".

ნახვა: 127

ახალი ამბები

- მარიხუანის კულტივაცია _ „შემოსავალს მოუტანს ჩვენს ეკონომიკას“ იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი მარიხუანის კულტივაციის შესახებ აცხადებს, რომ გასათვალისწინებელია ის ეკონომიკური შედეგები, რაც შესაძლოა, მარიხუანის წარმოებამ მოიტანოს. აღნიშნული განცხადება წულუკიანმა საერთაშორისო საარბიტრაჟო პალატის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე გააკეთა.

„შევაფასოთ ეკონომიკური შედეგი ამ რეფორმის, თუ ყველა ჩავთვლით, რომ ეს ის შედეგია, რომელიც ჩვენს საკმაოდ შეჭირვებულ ფინანსურ ეკონომიკას შვებას მისცემს და მკაცრი კონტროლის ქვეშ უზრუნველყოფს სახელმწიფო იმას, რომ შიდა ბაზარზე ეს ნივთიერება არ გავრცელდეს, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ რატომაც არა“, – განაცხადა ნულუკიანი. ნულუკიანის თქმით, იმ შემთხვევაში, თუ საქართველო მარიხუანის კულტივირებას დაიწყებს, ქართულ ეკონომიკას დიდ სარგებელს მოუტანს. „არ ვთვლი, რომ რაიმე არის სანერვიულო წინასწარ ან პანიკის საფუძველი არსებობს, რადგან მთავრობის ინიციატივის საფუძველი იყო ერთადერთი, რომ ჩვენმა ეკონომიკამ, რაკი გვაქვს მნიშვნელოვანი გამოცდილება, სასოფლო-სამეურნეო ინდუსტრიის სფეროში, დაიკავოს საერთაშორისო ეკონომიკაში გარკვეული ნიშა ან ნიშები, რაც შემოუტანს შემოსავალს ჩვენს ქვეყანას“, – განაცხადა იუსტიციის მინისტრმა. ამ ეტაპზე კანონპროექტის განხილვა, რომელიც ექსპორტზე გატანის მიზნით, მარიხუანის კულტივირებას ითვალისწინებს, პარლამენტში დროებით

- „კანონპროექტი მოსახლეობის თანხმობას მოითხოვს“ „ახალგაზრდა ადვოკატები“ მცენარე კანაფის სამედიცინო ან/და სამრეწველო მიზნით დათესვის, მოყვანის, კულტივირებისა და წარმოების წესების შექმნამდე, საკითხი საქართველოს მოსახლეობის თანხმობას მოითხოვს აღნიშნულ განცხადებას ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები“ აკეთებს. როგორც ორგანიზაციაში აცხადებენ, „მცენარე კანაფის კონტროლის შესახებ“ კანონპროექტისა და „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ კანონპროექტების წარმოდგენა საზოგადოებრივ ჯგუფებთან დისკუსიის გარეშე მოხდა, რამაც მნიშვნელოვნად შელახა საკითხის მიმართ ჯანსაღი და ობიექტური მსჯელობა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილების შემდგომ მოსალოდნელი და საჭირო გახდა მცენარე მარიხუანას უკანონო შექმნის, შენახვის, გადაზიდვის ან/და გადაგზავნისთვის ახალი სამართლებრივი ამკრძალავი (შემზღვეველი) რეგულაციების შემოღება, თუმცა მცენარე მარიხუანასგან განსხვავებით, მცენარე კანაფის შემდგომი სამართლებრივი კონტროლის რეგულაცია და მისი კულტივაცია (ინდუსტრიალიზაცია), წარმოადგენს სახელმწიფოს მხრიდან საკითხისადმი სრულიად ახლებურ მიდგომას და განხილულ უნდა იქნეს არამხოლოდ ეკონომიკური შესაძლებლობების გათვალისწინებით, არამედ საზოგადოებრივი სფეროს ყველა კუთხიდან. „ახალგაზრდა ადვოკატების“ შეფასებით, საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტების დასაბუთება, ძირითადად ეფუძნება ეკონომიკური ეფექტის მიღებას, რაც საკითხზე იმთავითვე გამორიცხავს სხვა აქცენტების დასმას. შესაბამისად, კანონპროექტების დასაშვებობა მხოლოდ ეკონომიკური ეფექტის მიღების თვალსაზრისით, დემოკრატიულ საზოგადოებაში, დასახელებული საკითხების ირგვლივ ფართო დისკუსიის გარეშე, დასაბუთებას აცლის საკითხზე თანხმობას. იქედან გამომდინარე, რომ საკითხზე დისკუსიის საჭიროებაზე თავად მიუთითებს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლება, ხოლო მისმა მომზადებელი სახით ინიცირებამ ხელისუფლებასა და ხალხს შორის უნდობლობა გააჩინა, მიზანშეწონილია საქართველოს მთავრობამ კანონპროექტი საქართველოს პარლამენტიდან გაიწვიოს და მკაფიო განცხადება გაკეთდეს ფართო დისკუსიის დაწყებაზე, მათ

შორის ყველა რელიგიური კონფესიის წარმომადგენელთა მონაწილეობით. გარდა ამისა, ორგანიზაცია სრულიად დასაშვებად მიიჩნევს საკითხზე საერთო-სახალხო გამოკითხვის - პლემბისციტის ჩატარებას. „რეფერენდუმის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, პლემბისციტი არის კენჭისყრით საერთო-სახალხო გამოკითხვა განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებზე საქართველოს ამომრჩეველთა ან მათი ნაწილის აზრის გასაგებად. კანონით, პლემბისციტს ნიშნავს საქართველოს პრემიერ-მინისტრი და მისი შედეგები სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისათვის სარეკომენდაციო ხასიათისაა. კონსტიტუციური პრინციპის თანახმად, საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში. ხალხი თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის, უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებისა და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით. შეგახსენებთ, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ავტორობით მომზადებული და საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის განხილვა ამ დროისთვის

- კანაფის კულტივაცია პარლამენტმა, შესაძლოა, კანონპროექტი გაიწვიოს კანონპროექტზე მუშაობა, რომელიც ექსპორტზე გატანის მიზნით, მარინუანის წარმოებას ითვალისწინებს, შესაძლოა, პარლამენტმა შეაჩეროს და ინიციატივა უკან გაიწვიოს. აღნიშნულის შესახებ განცხადება, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ გააკეთა. „ქართულ საზოგადოებაში ვნებათაღელვა გამოიწვია კანონპროექტმა, რომელიც ეხება მცენარე კანაფის კულტივაციას, გადამუშავებასა და ექსპორტს სამედიცინო და კოსმეტიკური საშუალებების წარმოების მიზნებისათვის. კანონპროექტს გამოეხმაურა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია. ჩვენ ვართ პოლიტიკური ძალა, რომლის მთავარი ღირებულებაა ადამიანი და მისი ღირსების დაცვა, რომლის პრინციპებია ხალხის ინტერესების შესაბამისად მოქმედება და ეკლესიისა და პატრიარქის განსაკუთრებული პატივისცემა. ჩვენ ვუსმენთ საზოგადოებას და ეკლესიას. სწორედ ამ ღირებულებებიდან და პრინციპებიდან გამომდინარე, როგორც მოგეხსენებათ, ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება საქართველოს პარლამენტში ზემოაღნიშნული კანონპროექტის განხილვის შეჩერების თაობაზე. მიგვაჩნია, რომ ჩვენ პირნათელი ვართ ქართული საზოგადოებისა და ეკლესიის წინაშე, რადგან წარმოდგენილი კანონპროექტი არ ითვალისწინებს ნარკოტიკული საშუალებების წარმოებასა და რეალიზებას. თუმცა, თუ არსებობს საფრთხე იმისა, რომ ამ კანონპროექტმა ნარკოტიკული საშუალებების არალეგალური მიმოქცევა შეიძლება წაახალისოს, ჩვენ მივიღებთ გადაწყვეტილებას კანონპროექტის გამონწვევის თაობაზე. სამწუხაროდ, საზოგადოების ვნებათაღელვით ბოროტად ისარგებლეს გარკვეულმა ძალებმა, რომელთა მთავარი ნიშან-თვისებები სწორედ ადამიანის ღირსების უგულებელყოფა და მისი შელახვის მცდელობა, ქვეყანასთან, ხალხთან და საზოგადოებასთან დაპირისპირება, ეკლესიის წინააღმდეგ მიზანმიმართული ბრძოლა და რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფაა. საზოგადოებას მოვუწოდებთ, ნურავის მიცემთ ვნებათაღელვის თავის სასარგებლოდ ბოროტად გამოყენების საშუალებას. გამოვხატავთ უდიდეს პატივისცემას უწმინდესისა და უნეტარესის მიმართ, რომლის თითოეული ნაბიჯი და განცხადება

გამსჭვალულია სიბრძნით და რომელიც ყოველთვის მიმართულია ჩვენი ქვეყნისა და საზოგადოების ინტერესების დაცვისკენ. მოვუნოდებთ ყველას, როგორც ჩვენს თანაგუნდელებს, ისე საზოგადოების სხვა წარმომადგენლებს, თავი შეიკავონ ამ საკითხზე საჯარო სივრცეში ემოციური პოლემიკის გაგრძელებისაგან“, _ განაცხადა

- „ფული არ მქონდა“ რატომ არ მონაწილეობს ელისაშვილი საპრეზიდენტო არჩევნებში თბილისის საკრებულოს ყოფილი წევრი ალექო ელისაშვილი ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში არმონაწილეობის მიზეზს განმარტავს. როგორც ელისაშვილი აცხადებს, აღნიშნულის მიზეზი თანხის უქონლობაა, რაც მის საარჩევნო კამპანიას უზრუნველყოფდა. საკითხზე განმარტება ელისაშვილმა „TV პირველის“ ეთერში გააკეთა. „არც ბრძოლის და არც არავისთან დაპირისპირების მეშინია, მითუმეტეს, იმ რუსის აგენტთან, სალომე ზურაბიშვილთან. უღვაშებგაპარსული სერგო ორჯონიკიძე არის სალომე ზურაბიშვილი, არც მეტი არც ნაკლები. მასთან დაპირისპირების დიდი ჟინი მაქვს, მაგრამ ძალიან გულახდილად გეტყვით რა იყო მიზეზი. ჩემს თანამოაზრეებთან ერთად ძალიან ბევრი ავწონ-დავწონე, უბრალოდ ფული არ მქონდა იმდენი, რომ საქართველოს მასშტაბით წარმემართა კამპანია. მიუხედავად იმისა, რომ თბილისში 18% ავიღე, კვალიფიციურ სუბიექტი არ ვარ და უფასო სარეკლამო დროც არ მექნებოდა. ეს იყო ერთადერთი მიზეზი, რის გამოც ამ ბრძოლაში არ ვმონაწილეობ“, _ განაცხადა
- ელისაშვილი ზურაბიშვილზე: „უღვაშებგაპარსულ სერგო ორჯონიკიძეს მხარს არ დავუჭერ“ თბილისის საკრებულოს ყოფილი წევრი ალექო ელისაშვილი აცხადებს, რომ ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში სალომე ზურაბიშვილსთვის და „ნაციონალური მოძრაობის“ ორი განაყოფისთვის მხარდაჭერას არ აპირებს. მისი თქმით, კანდიდატი, რომელიც გაპრეზიდენტებას იმსახურებს, დავით უსუფაშვილია. აღნიშნული ელისაშვილმა „TV პირველის“ ეთერში განაცხადა. „რა თქმა უნდა, ამ არჩევნებში უღვაშებგაპარსულ სერგო ორჯონიკიძეს, იგივე სალომე ზურაბიშვილს მხარს არ დავუჭერ. „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატს მხარს არ დავუჭერ, არც მეორე „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატს. ერთადერთი რჩება ადამიანი, რომელიც, ჩემი ღრმა რწმენით, სხვა კანდიდატებზე ათი თავით მაღლა დგას, ეს არის უსუფაშვილი“, _ განაცხადა
- მარიხუანის კულტივაცია „შემოსავალს მოუტანს ჩვენს ეკონომიკას“ იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი მარიხუანის კულტივაციის შესახებ აცხადებს, რომ გასათვალისწინებელია ის ეკონომიკური შედეგები, რაც შესაძლოა, მარიხუანის წარმოებამ მოიტანოს. აღნიშნული განცხადება წულუკიანმა საერთაშორისო საარბიტრაჟო პალატის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე გააკეთა. „შევაფასოთ ეკონომიკური შედეგი ამ რეფორმის, თუ ყველა ჩავთვლით, რომ ეს ის შედეგია, რომელიც ჩვენს საკმაოდ შეჭირვებულ ფინანსურ ეკონომიკას შვებას მისცემს და მკაცრი კონტროლის ქვეშ უზრუნველყოფს სახელმწიფო იმას, რომ შიდა ბაზარზე ეს ნივთიერება არ გავრცელდეს, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ რატომაც არა“, _ განაცხადა წულუკიანმა. წულუკიანის თქმით, იმ შემთხვევაში, თუ საქართველო მარიხუანის კულტივირებას დაიწყებს, ქართულ ეკონომიკას დიდ სარგებელს მოუტანს. „არ ვთვლი, რომ რაიმე არის სანერვიულო წინასწარ ან პანიკის საფუძველი არსებობს, რადგან მთავრობის ინიციატივის საფუძველი იყო ერთადერთი, რომ ჩვენმა ეკონომიკამ, რაკი

გვაქვს მნიშვნელოვანი გამოცდილება, სასოფლო-სამეურნეო ინდუსტრიის სფეროში, დაიკავოს საერთაშორისო ეკონომიკაში გარკვეული ნიშა ან ნიშები, რაც შემოუტანს შემოსავალს ჩვენს ქვეყანას“, – განაცხადა იუსტიციის მინისტრმა. ამ ეტაპზე კანონპროექტის განხილვა, რომელიც ექსპორტზე გატანის მიზნით, მარიხუანის კულტივირებას ითვალისწინებს, პარლამენტში დროებით

- „კანონპროექტი მოსახლეობის თანხმობას მოითხოვს“ „ახალგაზრდა ადვოკატები“ მცენარე კანაფის სამედიცინო ან/და სამრეწველო მიზნით დათესვის, მოყვანის, კულტივირებისა და წარმოების წესების შექმნამდე, საკითხი საქართველოს მოსახლეობის თანხმობას მოითხოვს ალნიშნულ განცხადებას ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები“ აკეთებს. როგორც ორგანიზაციაში აცხადებენ, „მცენარე კანაფის კონტროლის შესახებ“ კანონპროექტისა და „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ კანონპროექტების წარმოდგენა საზოგადოებრივ ჯგუფებთან დისკუსიის გარეშე მოხდა, რამაც მნიშვნელოვნად შელახა საკითხის მიმართ ჯანსაღი და ობიექტური მსჯელობა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილების შემდგომ მოსალოდნელი და საჭირო გახდა მცენარე მარიხუანას უკანონო შეძენის, შენახვის, გადაზიდვის ან/და გადაგზავნისთვის ახალი სამართლებრივი ამკრძალავი (შემზღუდველი) რეგულაციების შემოღება, თუმცა მცენარე მარიხუანასგან განსხვავებით, მცენარე კანაფის შემდგომი სამართლებრივი კონტროლის რეგულაცია და მისი კულტივაცია (ინდუსტრიალიზაცია), წარმოადგენს სახელმწიფოს მხრიდან საკითხისადმი სრულიად ახლებურ მიდგომას და განხილულ უნდა იქნეს არამხოლოდ ეკონომიკური შესაძლებლობების გათვალისწინებით, არამედ საზოგადოებრივი სფეროს ყველა კუთხიდან. „ახალგაზრდა ადვოკატების“ შეფასებით, საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტების დასაბუთება, ძირითადად ეფუძნება ეკონომიკური ეფექტის მიღებას, რაც საკითხზე იმთავითვე გამორიცხავს სხვა აქცენტების დასმას. შესაბამისად, კანონპროექტების დასაშვებობა მხოლოდ ეკონომიკური ეფექტის მიღების თვალსაზრისით, დემოკრატიულ საზოგადოებაში, დასახელებული საკითხების ირგვლივ ფართო დისკუსიის გარეშე, დასაბუთებას აცლის საკითხზე თანხმობას. იქედან გამომდინარე, რომ საკითხზე დისკუსიის საჭიროებაზე თავად მიუთითებს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლება, ხოლო მისმა მომზადებელი სახით ინიცირებამ ხელისუფლებასა და ხალხს შორის უნდობლობა გააჩინა, მიზანშეწონილია საქართველოს მთავრობამ კანონპროექტი საქართველოს პარლამენტიდან გაიწვიოს და მკაფიო განცხადება გაკეთდეს ფართო დისკუსიის დაწყებაზე, მათ შორის ყველა რელიგიური კონფესიის წარმომადგენელთა მონაწილეობით. გარდა ამისა, ორგანიზაცია სრულიად დასაშვებად მიიჩნევს საკითხზე საერთო-სახალხო გამოკითხვის - პლემბისციტის ჩატარებას. „რეფერენდუმის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, პლემბისციტი არის კენჭისყრით საერთო-სახალხო გამოკითხვა განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებზე საქართველოს ამომრჩეველთა ან მათი ნაწილის აზრის გასაგებად. კანონით, პლემბისციტს ნიშნავს საქართველოს პრემიერ-მინისტრი და მისი შედეგები სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისათვის სარეკომენდაციო ხასიათისაა. კონსტიტუციური პრინციპის

თანახმად, საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში. ხალხი თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის, უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებისა და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით. შეგახსენებთ, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ავტორობით მომზადებული და საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის განხილვა ამ დროისთვის

- კანაფის კულტივაცია – პარლამენტმა, შესაძლოა, კანონპროექტი გაიწვიოს კანონპროექტზე მუშაობა, რომელიც ექსპორტზე გატანის მიზნით, მარიხუანის წარმოებას ითვალისწინებს, შესაძლოა, პარლამენტმა შეაჩეროს და ინიციატივა უკან გაიწვიოს. აღნიშნულის შესახებ განცხადება, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ გააკეთა. „ქართულ საზოგადოებაში ვნებათაღელვა გამოიწვია კანონპროექტმა, რომელიც ეხება მცენარე კანაფის კულტივაციას, გადამუშავებასა და ექსპორტს სამედიცინო და კოსმეტიკური საშუალებების წარმოების მიზნებისათვის. კანონპროექტს გამოეხმაურა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია. ჩვენ ვართ პოლიტიკური ძალა, რომლის მთავარი ღირებულებაა ადამიანი და მისი ღირსების დაცვა, რომლის პრინციპებია ხალხის ინტერესების შესაბამისად მოქმედება და ეკლესიისა და პატრიარქის განსაკუთრებული პატივისცემა. ჩვენ ვუსმენთ საზოგადოებას და ეკლესიას. სწორედ ამ ღირებულებებიდან და პრინციპებიდან გამომდინარე, როგორც მოგეხსენებათ, ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება საქართველოს პარლამენტში ბემოაღნიშნული კანონპროექტის განხილვის შეჩერების თაობაზე. მიგვაჩნია, რომ ჩვენ პირნათელი ვართ ქართული საზოგადოებისა და ეკლესიის წინაშე, რადგან წარმოდგენილი კანონპროექტი არ ითვალისწინებს ნარკოტიკული საშუალებების წარმოებასა და რეალიზებას. თუმცა, თუ არსებობს საფრთხე იმისა, რომ ამ კანონპროექტმა ნარკოტიკული საშუალებების არალეგალური მიმოქცევა შეიძლება წაახალისოს, ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილებას კანონპროექტის გამონწვევის თაობაზე. სამწუხაროდ, საზოგადოების ვნებათაღელვით ბოროტად ისარგებლეს გარკვეულმა ძალებმა, რომელთა მთავარი ნიშან-თვისებები სწორედ ადამიანის ღირსების უგულებელყოფა და მისი შელახვის მცდელობა, ქვეყანასთან, ხალხთან და საზოგადოებასთან დაპირისპირება, ეკლესიის წინააღმდეგ მიზანმიმართული ბრძოლა და რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფაა. საზოგადოებას მოვუწოდებთ, ნურავის მივცემთ ვნებათაღელვის თავის სასარგებლოდ ბოროტად გამოყენების საშუალებას. გამოვხატავთ უდიდეს პატივისცემას უწმინდესისა და უნეტარესის მიმართ, რომლის თითოეული ნაბიჯი და განცხადება გამსჭვალულია სიბრძნით და რომელიც ყოველთვის მიმართულია ჩვენი ქვეყნისა და საზოგადოების ინტერესების დაცვისკენ. მოვუწოდებთ ყველას, როგორც ჩვენს თანაგუნდელებს, ისე საზოგადოების სხვა წარმომადგენლებს, თავი შეიკავონ ამ საკითხზე საჯარო სივრცეში ემოციური პოლემიკის გაგრძელებისაგან“, – განაცხადა

- „ფული არ მქონდა“ რატომ არ მონაწილეობს ელისაშვილი საპრეზიდენტო არჩევნებში თბილისის საკრებულოს ყოფილი წევრი ალექო ელისაშვილი ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში არმონაწილეობის მიზეზს განმარტავს. როგორც ელისაშვილი აცხადებს, აღნიშნულის მიზეზი თანხის უქონლობაა, რაც

მის საარჩევნო კამპანიას უზრუნველყოფდა. საკითხზე განმარტება ელისაშვილმა „TV პირველის“ ეთერში გააკეთა. „არც ბრძოლის და არც არავისთან დაპირისპირების მეშინია, მითუმეტეს, იმ რუსის აგენტთან, სალომე ზურაბიშვილთან. უღვაშებგაპარსული სერგო ორჯონიკიძე არის სალომე ზურაბიშვილი, არც მეტი არც ნაკლები. მასთან დაპირისპირების დიდი ჟინი მაქვს, მაგრამ ძალიან გულახდილად გეტყვით რა იყო მიზეზი. ჩემს თანამოაზრეებთან ერთად ძალიან ბევრი ავწონ-დავწონე, უბრალოდ ფული არ მექონდა იმდენი, რომ საქართველოს მასშტაბით წარმემართა კამპანია. მიუხედავად იმისა, რომ თბილისში 18% ავიღე, კვალიფიციურ სუბიექტი არ ვარ და უფასო სარეკლამო დროც არ მექნებოდა. ეს იყო ერთადერთი მიზეზი, რის გამოც ამ ბრძოლაში არ ვმონაწილეობ“, _ განაცხადა

- ელისაშვილი ზურაბიშვილზე: „უღვაშებგაპარსულ სერგო ორჯონიკიძეს მხარს არ დავუჭერ“ თბილისის საკრებულოს ყოფილი წევრი ალექო ელისაშვილი აცხადებს, რომ ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში სალომე ზურაბიშვილსთვის და „ნაციონალური მოძრაობის“ ორი განაყოფისთვის მხარდაჭერას არ აპირებს. მისი თქმით, კანდიდატი, რომელიც გაპრეზიდენტებას იმსახურებს, დავით უსუფაშვილია. აღნიშნული ელისაშვილმა „TV პირველის“ ეთერში განაცხადა. „რა თქმა უნდა, ამ არჩევნებში უღვაშებგაპარსულ სერგო ორჯონიკიძეს, იგივე სალომე ზურაბიშვილს მხარს არ დავუჭერ. „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატს მხარს არ დავუჭერ, არც მეორე „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატს. ერთადერთი რჩება ადამიანი, რომელიც, ჩემი ღრმა რწმენით, სხვა კანდიდატებზე ათი თავით მაღლა დგას, ეს არის უსუფაშვილი“, _ განაცხადა

ზაფრანი

კარმიდამო ჩემი

ა კიდო

2018 სექ 18 20:31:33

2018 სექ 19 21:17:05

2018 სექ 15 14:02:10

2018 სექ 15 13:21:53

2018 სექ 18 15:16:07